პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ს.ს.ر. СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ივნისი შაბათი 1973 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 146 (15663)

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტებს

ვაშინგტონი, 21 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს თეთრ სახლში საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტებს.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევსა** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს **რ. ნიქსონს.**

ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რიჩარდ მ. ნიქსონმა.

დოკუმენტს — „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ძირითადი პრინციპები“ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის სახელით — ლ. ი. ბრეჟნევმა, შეერთებული შტატების სახელით. რ. ნიქსონმა.

დოკუმენტების ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშრომლები **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** საკდესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიენკო,** სხვა ოფიციალური პირნი.

ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი **ს. აგნიუ,** სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი,** პრეზიდენტის თანაშემწე სამინაო საქმეებში **მ. ლეირდი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ვაჭრობის მინისტრი **ფ. დენტი** და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წევრები, კონგრესის ლიდერები, სენატის კომისიების წევრები, კონგრესმენები, თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტების ხელმოწერას ფართოდ გადასცემდნენ ტელევიზიითა და რადიოთი.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

შეთანხმება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორივე ქვეყანაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სწრაფად მზარდ ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემას,

ისწრაფვიან გააერთიანონ ორივე ქვეყნის ღონისძიებანი ენერგიის მაღალეფექტიანი წყაროების შემუშავების გზით ამ პრობლემის გადასაჭრელად,

მიაჩნიათ, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას ატომური ტექნიკის მთელ რიგ იმ მიმართულებათა დაჩქარებული განვითარების გზით, რომლებშიც უკვე წარმოებს კვლევა, როგორიც არის მართული თერმოატომური სინთეზი და სწრაფნეიტრონიანი რეაქტორ-მამრავლები, აგრეთვე მატერიის ძირითად თვისებათა შემდგომი ფუნდამენტური კვლევა,

კმაყოფილებით აღნიშნავენ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ორი მხარის წინანდელი თანამშრომლობის წარმატებითს შედეგებს,

სურთ ამ დარგის თანამშრომლობას შეუქმნან უფრო სტაბილური და ხანგრძლივი საფუძველი ორივე ქვეყნის ხალხებისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1972 წლის 24 მაისის შეთანხმების, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და სხვა დარგებში გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ 1972 წლის 11 აპრილის შეთანხმების და ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის საკითხთა კომისიის 1972 წლის 28 სექტემბრის მემორანდუმის შესაბამისად და განსავითარებლად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები გააფართოებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას ატომური ენერგიის კვლევის, დამუშავებისა და ათვისების დარგში. ამასთან უპირველეს მიზნად მიიჩნევენ ენერგიის ახალი წყაროების შემუშავებას. ასეთი თანამშრომლობა განხორციელდება ორმხრივი სარგებლიანობის, თანასწორობისა და ნაცვალგების საფუძველზე.

მუხლი 2

1. თანამშრომლობა ძირითადად განხორციელდება შემდეგ სამ დარგში:

a) მართული თერმოატომური სინთეზი.

ამ დარგში თანამშრომლობის მიზანია საბოლოო ანგარიშით შემუშავდეს პროტოტიპები და სადემონსტრაციო თერმოატომური რეაქტორები, თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს თეორიულ, საანგარიშო, ექსპერიმენტულ და საპროექტო-საკონსტრუქტორო კვლევას ყველა სტადიაზე, თვით სამრეწველო გამოყენებასაც.

b) სწრაფნეიტრონიანი რეაქტორ-მამრავლები.

ამ დარგში თანამშრომლობა წარიმართება იმ ურთიერთშეთანხმებული ფუნდამენტური და გამოყენებითი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია სწრაფნეიტრონიანი რეაქტორ-მამრავლებით მოქმედი ატომური ელექტროსადგურების შემუშავებასთან, დაპროექტებასთან, კონსტრუირებასა და ექსპლოატაციასთან.

c) მატერიის ფუნდამენტურ თვისებათა კვლევა.

ამ დარგში თანამშრომლობა მოიცავს ერთმანეთთან შეთანხმებული თემების ერთობლივ თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევას და, კერძოდ, მაღალი, საშუალო და დაბალი ენერგიების ფიზიკის დარგში კვლევას ორივე ქვეყნის ამჩქარებლების, ექსპერიმენტული მონაცემების დასამუშავებელი მოწყობილობისა და სხვა დანადგარების გამოყენების გზით. თანამშრომლობა შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს კვლევის ამ დარგში გამოსაყენებელი ერთობლივი დანადგარების დაპროექტების, დაგეგმვისა და აგების საქმეში.

2. ზემოაღნიშნული სამი დარგიდან თვითეულში თანამშრომლობის შემდგომი დეტალები შეთანხმდება ცალკეული სამუშაო ოქმების დადების გზით.

3. თანამშრომლობის სხვა დარგები შეიძლება დაემატოს ურთიერთშეთანხმებით.

4. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობა განხორციელდება შესაბამისი ქვეყნების კანონების შესაბამისად.

მუხლი 3.

1. წინა მუხლებით გათვალისწინებული თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

a) შეიქმნას მეცნიერთა და ინჟინერთა სამუშაო ჯგუფები ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელებისათვის;

b) ერთად შეიმუშაონ და შექმნან საცდელი სტენდები, დანადგარები და მოწყობილობა;

c) მოაწყონ თეორეტიკოსთა და ექსპერიმენტატორ-მკვლევართა ერთობლივი სამუშაოები ორივე ქვეყნის შესაბამის სამეცნიერო ცენტრებში;

d) მოაწყონ ერთობლივი კონსულტაციები, სემინარები და სამუშაო თათბირები;

e) გაცვალონ ხელსაწყოების, მოწყობილობისა და საკონსტრუქციო მასალების შესაბამისი ნიმუშები;

x) გაცვალონ მეცნიერები და სპეციალისტები;

g) გაცვალონ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაცია, დოკუმენტაცია და კვლევის შედეგები.

2. თანამშრომლობის სხვა ფორმები შეიძლება დაემატოს ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 4

ხელმძღვანელობენ რა ამ შეთანხმების მიზნებით, მხარეები შესაბამისად წაახალისებენ, ხელს შეუწყობენ და წარმართავენ თანამშრომლობისა და პირდაპირი კონტაქტების განვითარებას ორივე ქვეყნის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, კერძოდ, როცა ეს საჭირო იქნება, სამუშაო ოქმებისა და კონტრაქტების დადებას ამ შეთანხმების შესაბამისად თანამშრომლობის ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მუხლი 5

1. ამ შეთანხმების შესასრულებლად შეიქმნება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია, მისი სხდომები გაიმართება წელიწადში ერთხელ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რიგრიგობით, თუ არ იქნება სხვა შეთანხმება.

2. ერთობლივი კომისია განახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც საჭირო იქნება ამ შეთანხმების ეფექტიანი შესრულებისათვის, მათ შორის, თუმცა ამით არ შეიზღუდება, დაამტკიცებს თანამშრომლობის კონკრეტულ პროექტებსა და პროგრამებს; განსაზღვრავს შესაბამის მონაწილე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა თანამშრომლობის ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებისა და მომზადებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებს რეკომენდაციებს ორივე მთავრობისათვის.

3. ამ შეთანხმების აღმასრულებელი ორგანიზაციები იქნებიან: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის — სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის — ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისია. აღმასრულებელი ორგანიზაციები თვითეული თავის მხრივ პასუხს აგებს ერთობლივი კომისიის საქმიანობისათვის და განახორციელებს თანამშრომლობის საერთო კოორდინაციას და თანამშრომლობის იმ ერთობლივ ღონისძიებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობას, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად წარმოებს.

მუხლი 6

ამ შეთანხმებაში არაფერი არ იქნება განმარტებული მხარეებს შორის დადებული სხვა შეთანხმებების საზიანოდ.

მუხლი 7

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ათი წლის განმავლობაში. იგი შეიძლება შეიცალოს ან გაგრძელდეს მხარეების ურთიერთთანხმობით.

2. ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლა არ შეეხება ორივე ქვეყნის დაინტერესებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის ამ შეთანხმების შესაბამისად დადებული სამუშაო ოქმებისა და კონტრაქტების მოქმედებას.

დადო 1973 წლის 21 ივნისს ქალაქ ვაშინგტონში ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ლ. ი. ბრეჟნევი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელით
რიჩარდ მ. ნიქსონი
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი

ვაშინგტონი. 21 ივნისი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა ხელმოწერა.

საკდესი (მიღებულია საინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება რ. ნიქსონთან

ვაშინგტონი, 21 ივნისი. (საკდესი). დღეს კემპ-დევიდში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **რ. ნიქსონთან.** განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები.

მოლაპარაკება საქმიან კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

განვამტკიცოთ ჩვენი ჰლანეტის მშვიდობა და უმიშროება

ვაშინგტონი, 22 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** გუშინ სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოში სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **რ. ნიქსონის** პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: ამერიკის შეერთებული შტატების, ვიცე-პრეზიდენტი **ს. აგნიუ,** სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **უ. ბერგერი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ვაჭრობის მინისტრი **ფ. დენტი,** სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **უ. ფულბრაიტი,** რესპუბლიკელთა ლიდერი სენატში **ჰ. სკოტი,** ქალაქ ვაშინგტონის მერი **უ. ვაშინგტონი,** საქმიანი წრეების წარმომადგენლები **დ. როკფელერი, ა. ჰამერი,** მრეწველთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი **ე. კენი,** თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამშრომლები, სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** საკდესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიენკო,** სხვა ოფიციალური პირნი.

ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი **ს. აგნიუ,** სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი,** პრეზიდენტის თანაშემწე სამინაო საქმეებში **მ. ლეირდი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ვაჭრობის მინისტრი **ფ. დენტი** და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წევრები, კონგრესის ლიდერები, სენატის კომისიების წევრები, კონგრესმენები, თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

პატივცემულო ქალბატონო ნიქსონ!

ქალბატონებო და ბატონებო! ამხანაგებო!

დღეს წილად მხვდა სასიამოვნო მოვალეობა მოგესალმოთ აქ, ვაშინგტონის საბჭოთა საელჩოში, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მეუღლეს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წევრებს, სხვა სანპატიო ამერიკელ სტუმრებს.

ჩემი და ამხანაგების სახელით მსურს უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონ პატრიცია ნიქსონს და თქვენი ოჯახის სხვა წევრებს იმ გულთბილობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც ყოველდღიურად იჩენთ ჩვენდამი თქვენს ქვეყანაში ჩვენი ჩამოსვლიდანვე.

ამავე დროს მსურს გითხრათ, რომ მადლობელი ვართ ყველა იმ ამერიკელისა, რომლებიც მეგობრულ გრძნობებს გამოთქვამენ ჩვენდამი, ცხოველ ინტერესს იჩენენ ჩვენი ვიზიტისა და მოლაპარაკებისადმი. ეს, ჩვენი აზრით, ადასტურებს, რომ შეერთებული შტატების ხალხი პატივს სცემს საბჭოთა ადამიანებს, ამტკიცებს, რომ ორივე ჩვენი ხალხი ესწრაფვის ერთმანეთთან მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ.

დიდი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებით არის გამსჭვალული ჩვენი შეხვედრის მთელი მიმდინარეობა. ჩვენს მოლაპარაკებას ახასიათებს აქტიური ტემპი, პრობლემათა სიმრავლე, საქმიანობა და კონსტრუქციულობა. ყოველივე ამას ყოველდღე მოაქვს თავისი საგრძნობი ნაყოფი, გვაძლევს ერთობლივად დასახულ მიზნებთან — უზრუნველვყოთ შემდგომი დიდი ძვრა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის კანონიერებაში, შევამციროთ ომის საფრთხე, განვამტკიცოთ მშვიდობა. და უშიშროება ჩვენს პლანეტაზე.

ორივე ჩვენი სახელმწიფოს წარმოდგენილი ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, ეთოლოგ, ახალ საფეხურზე აიყვანს. გასული წლის მაისში შეგვთანხმდით, რომ ატომურ საუკუნეში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობისათვის არ არსებობს სხვა საფუძველი, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობისა. ახლა ჩვენ სრული რწმენით შეგვიძლია ვთქვათ: ეს ფუნდამენტური პრინციპი სულ უფრო კონკრეტულ შინაარსს იძენს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოლაპარაკების შედეგები კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიან ურთიერთობასა და ნდობას. ამასთანავე შემდგომი სარბილი დაისახება ამ ურთიერთობის კონსტრუქციული განვითარებისათვის.

არ შეიძლება ქმაყოფილებას არ ვგრძნობდეთ იმის გამო, რომ ორივე მხარის მეცადინეობით შეეძლოთ ახალი ნაბიჯი გადაგვიდგა წინ ისეთ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან და ამავე დროს გადასაჭრელად რთულ საკითხში, როგორიც არის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა. მიღწეული შეთანხმება ამ პრობლემაზე შემდგომი მოლაპარაკების ძირითადი პრინციპების შესახებ შეიცავს ყველაფერს, რომ ახალი სტიმული და მყიფი მმართველობა მიეცეს ერთობლივ მუშაობას დიდმნიშვნელოვან შეთანხმებებზე, რომლებმაც არა მარტო უნდა ალაგმონ, არამედ ალიკვეთონ ადიც ყველაზე საშიში და ძვირადღირებული — რაკეტულ-ატომური გამალებული შეიარაღება და ამით საშუალება მეეცეთ ჩვენს ქვეყნებს სულ უფრო მეტი სახსრები მოახმარონ ადამიანების ბედნიერებისა, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას.

მშვიდობის მიზნებს სულ უფრო მეტად უნდა ემსახურებოდეს ატომური ენერგიაც. ჩვენი სახელმწიფოების მზადყოფნა — ხელი შეუწყონ ამას ერთობლივი მეცადინეობით, გამოიხატა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შეთანხმებით, რომელსაც ჩვენ პრეზიდენტ ნიქსონთან ერთად აგრეთვე დღეს მოვაწერეთ ხელი.

ჩვენ აგრეთვე დიდად ვეფასებთ იმას, რომ ამ ბაზის განსაგრძობად, რომელსაც ერთად შევეცით დასაბამი მოსკოვის შარშანდელ შეხვედრაზე, აწლანდელი ვიზიტის დროს ხელი მოვაწერეთ ახალ შეთანხმებათა სერიას მეცნიერების, ტექნიკის სხვა დარგებზეც, აგრეთვე კულტურის დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის შესახებ. ამით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა კიდევ უფრო მრავალმხრივი და სტაბილური ვიზიტება. ამავე დროს ასეთი თანამშრომლობის განვითარება, დარწმუნებული ვართ, კარგ სამსახურს გაუწევს სხვა ხალხების ინტერესებს, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს მთელი კაცობრიობისათვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა და, მე ვიტყოდი, მოუმთავრებელი საქმე. ეს, კერძოდ, განიკუთვნება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის სფეროს, ეს ეხება სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებსაც.

(დასასრული მე-2 გვ.).

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ძირითადი პრინციპები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომლებმაც ყოველმხრივ განიხილეს სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის საკითხი და მიმდინარე მოლაპარაკებაში უკვე მიღწეული პროგრესი,

ადასტურებენ თავიანთ რწმენას, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შემდგომ ღონისძიებათა რაც შეიძლება მალე განხორციელება დიდ წვლილს შეიტანს ატომური ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

პირველი. მხარეები განაგრძობენ აქტიურ მოლაპარაკებას, რათა შეიმუშაონ მუდმივი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის, აგრეთვე ამ შეიარაღების შემდგომი შემცირების უფრო სრულ ღონისძიებათა შესახებ. ამასთან იხელმძღვანელებენ 1972 წლის 29 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლებითა და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1972 წლის 26 მაისის დროებითი შეთანხმებით სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

წლის განმავლობაში მხარეები სეროიოზულ მეცადინეობას მოახმარენ იმ საქმეს, რომ შეიმუშაონ სტრატეგიულ შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის უფრო სრულ ღონისძიებათა მუდმივი შეთანხმების დებულებანი, რათა ხელი მოაწერონ მას 1974 წელს.

მეორე. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ახალ შეთანხმებებს საფუძვლად დაედება მოსკოვში 1972 წლის მაისში მიღებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტებისა და ვაშინგტონში 1973 წლის ივნისში მიღწეული შეთანხმებათა პრინციპები და მხარეები განსაკუთრებით იხელმძღვანელებენ იმით, რომ ცნონ ერთმანეთის თანაბარი უშიშროების ინტერესები და ის გარემოება, რომ ცალმხრივ უპირატესობათა პირდაპირი ან არაპირდაპირი მიღების ცდები შეუთავსებელია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებასთან.

მესამე. შეზღუდვა, რომელიც უნდა დადებულ სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებას, შეძლება ეხებოდეს როგორც მის რაოდენობრივ მხარეს, ისე თვისებრივ სრულყოფას.

მეოთხე. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვას შესაბამისი კონტროლი უნდა ეწეოდეს ეროვნული ტექნიკური საშუალებებით.

მეხუთე. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მოდერნიზაცია და შეცვლა ნებადართული იქნება იმ პირობათა დაცვით, რომლებიც ჩამოყალიბდება დადებულ შეთანხმებებში.

მეექვსე. ამიერიდან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის უფრო სრულ ღონისძიებათა შესახებ მოდგმული შეთანხმების მიღწევამდე მხარეები მზად არიან დადონ შეთანხმებანი ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ არსებული 1972 წლის 26 მაისის დროებითი შეთანხმების დამატებანი.

მეშვიდე. თვითეული მხარე შემდგომშიაც განახორციელებს საჭირო ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს, რათა თავიდან აცილებულ იქნას ამ მხარის კონტროლს დაქვემდებარებული ატომური იარაღის შემთხვევითი ან უსანქციო გამოყენება, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1971 წლის 30 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ლ. ი. ბრეჟნევი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელით
რიჩარდ მ. ნიქსონი
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი

ქ. ვაშინგტონი, 1973 წლის 21 ივნისი.

ცნობა

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან

1973 წლის 17 ივნისს ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების საოლქო, ეროვნული ოკრუგების საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები ყველგან მიმდინარეობდა ორგანიზებულად, მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადაზე შესრულებას. საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრისა და 1973 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებანი. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ. ადგილობრივი საბჭოების არჩევნები იყო საბჭოთა დემოკრატიზმის, თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო ხალხის მჭიდრო შეკავშირების ახალი მკაფიო დემონსტრაცია.

ჩვენს ქვეყანაში არჩევნების მომზადებასა და მოწყობას ახასიათებს მოსახლეობის ფართო მონაწილეობა. არჩევნების მოსაწყობად შეიქმნა 2.241.125 საარჩევნო კომისია, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების 9.115.596 წარმომადგენელი. კომისიათა შემადგენლობაში იყო მუშა და კოლმეურნე — 5.552.348, ანუ 60,9 პროცენტი, ქალი — 4.217.131, ანუ 46,3 პროცენტი, 3.136.856 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ანუ 34,4 პროცენტი, 5.978.740 უპარტიო, ანუ 65,6 პროცენტი. კომისიების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ახალგაზრდობა. კომისიების შემადგენლობაში იყო 2.078.487 კაცი, ანუ 22,8 პროცენტი 30 წლამდე ასაკისა, აქედან 1.277.025, ანუ 14,0 პროცენტი სრულიად საკავშირო ალკკ წევრია.

გაიმართა მშრომელთა დეპუტატების 6 სამხარეო საბჭოს, 116 საოლქო, ავტონომიური ოლქების 8 საოლქო საბჭოს, ეროვნული ოკრუგების 10 საოკრუგო საბჭოს, 2.970 რაიონული, 1.978 საქალაქო, 515 ქალაქების რაიონული, 41.049 სასოფლო და 3.542 სადაბო საბჭოს არჩევნები.

ყველა ადგილობრივი საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შეიქმნა 2.193.195 საარჩევნო ოლქი, მათ შორის: სამხარეო საბჭოების არჩევნების 1.903

(დასასრული მე-2 გვ.).

განვამტკიცოთ ჩვენი პლანეტის მშვიდობა და უშიშროება

(დასასრული).

ჩვენ ოპტიმისტები ვართ და მივიჩნევთ, რომ თვით მოვლენათა მსვლელობა და კონკრეტული ინტერესების ბაბება მიგვიყვანენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი ურთიერთობის მომავალი — ეს არის ადამიანთა ახლანდელ და მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ მისი ყოველმხრივი ურთიერთხელსაყრელი განვითარების გზა.

დარწმუნებული ვართ, რომ თუ მზარდ ურთიერთობას დაავიყრდნობით, განუხრელად განვავრძობთ წინსვლას. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას რაც შეიძლება სტაბილური, უფრო მტრეც — შეუქცევი ხასიათი მიეცეს.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი საუბრის დროს, რომელთა საქმიან და კონსტრუქციული ხასიათს ასე გაფასებთ, მე ოცი მქონდა შემთხვევა მომეხსენებინა თქვენთვის და მინდა ახლა ყველა აქ დამსწრე ამერიკელ სტუმრის გადმოგცეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესების საბჭოთა კურსი რაღაც დროებითი მოვლენა არ არის. ეს გახლავთ მტკიცე და თანმიმდევრული კურსი, რომელიც ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მუდმივ პრინციპებს, მისმა დიადმა დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა რომ ჩამოაყალიბა. ეს გახლავთ კურსი, რომელიც ჩვენი ხალხის მხარდაჭერას ეყრდნობა.

საბჭოთა ადამიანებს სწამთ, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ოწონებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ერთად დაწყებულ საქმეს. სამწუხაროდ, ჩვენი მოლაპარაკების დაძაბულმა პროგრამამ ნაკლებად დამოქცა იმის შესაძლებლობა, რომ მეტი რამ გავიგო თქვენს დიდ ქვეყანაზე, უფრო ახლოს გავეცნო ამერიკელთა ცხოვრებას. მაგრამ ის მცირედიც კი, რისი ნახვაც შევძელი, ორიად საინტერესოდ მეჩვენა. იმედი მაქვს, რომ კიდევ შევძლებ ნაწილობრივ მაინც შევავსო ეს ხარვეზი, როცა თქვენი მოწვევით, ბატონო პრეზიდენტო, ერთად გავემგზავრებით ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე, კალიფორნიაში, რომელიც ძველთაგანვე განთქმულია თვალწარმტაცი ბუნებით, უკანასკნელ ხანს კი სწრაფი ინდუსტრიული განვითარებით გითქვამ სახელი.

ჩემი მხრივ, მინდა ამ შემთხვევით ვისარგებლო და აქ კიდევ ერთხელ შევახსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ ოფიციალური ვიზიტით მიგიწვიეთ საბჭოთა კავშირში 1974 წელს. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში თქვენ ეს ვიზიტიც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის წარმატებით განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება.

ჩვენ ავრეთვე მოხარული ვიქნებით გიპასუხოთ სტუმართმოყვარეობაზე, რომელსაც ამ დღეებში გვიწევენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, მთავრობა და ხალხი. ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ ამჯერად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, უფრო ახლოს გაეცნობით ჩვენს ქვეყანას, მის ბუნებას, საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების საქმე წინ მიდის.

ორი წლის შემდეგ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები კოსმოსში გაფრინდებიან, რათა განახორციელონ კაცობრიობის ისტორიაში პირველი დიდი ერთობლივი სამეცნიერო ექსპერიმენტი. მათ იციან, რომ იქიდან, კოსმოსიდან, ჩვენი პლანეტის კიდევ უფრო მშვენიერი ჩანს, თუმცა დიდი არ არის. იგი საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ დედამიწაზე მშვიდობით ცხოვრება შეგვეძლოს, მაგრამ მტრისმტრად პატარა, რომ ატომური ომის საფრთხე შეგვქმნათ.

არ შეიცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი მოლაპარაკების სულისკვეთებას, ჩვენი ერთობლივი მეცადინეობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს ერთი მთავარი ფაქტორის შეგნება: ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მსოფლიოს ხალხები ცხოვრობდნენ ომისაგან თავისუფალნი, ცხოვრობდნენ უშიშრად, თანამშრომლობდნენ და მიმოსვლა ჰქონდეთ ერთმანეთთან. ამას დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი დრო. ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივად უნდა ვიღვწვოდეთ.

ნება მიბოძეთ ვადღეგრძელო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და ქალბატონი პატრიკია ნიქსონი! შემდგომი წარმატება ვუსურვო იმ დიდ საქმეს, რომელიც შეგძლეთ წინ წაგვიწია ჩვენი ახლანდელი შეხვედრის დროს!

მაშ გაუმარჯოს ომს, რომ კოსმოსშიც და დედამიწაზეც ერთობლივ ბაბებოდეს ადამიანთა შრომა და ნიჭი ხალხთა საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს საბჭოთა და ამერიკელი ხალხების მშვიდობას, მეგობრობას და თანამშრომლობას!

მშვიდობა ყოფილიყოს მთელ მსოფლიოში!

სადილზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **რ. ნიქსონმა.**

რ. ნიქსონის სიტყვა

პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა მიმართა ლ. ი. ბრეჟნევს, სადილზე მყოფთ და მადლობა გადაუხადა სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს და საბჭოთა საელჩოს გულთბილობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

წელიწადზე ოცი მეტი ხნის წინათ, თქვა რ. ნიქსონმა, მოსკოვში ჩვენ ხელი მოვაწერეთ პირველ შეთანხმებას „სტრატეგიული ატომური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ის გარემოება, რომ დღეს ხელი მოვაწერეთ მეორე შეთანხმებას, რომელიც ამავე დარგს განაკუთვნება, ცხადყოფს, როგორ წაწია წინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობამ.

გარდა ამისა, როგორც თქვენ ბრძანეთ თქვენს სიტყვაში, ჩვენ დღეს ხელი მოვაწერეთ პარალელური შეთანხმების ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

თქვენ დამაჯერებლად ილაპარაკეთ ამ ორ შეთანხმებაზე. მე ბევრს ვერაფერს დავამატებ გარდა იმისა, რომ, როგორც ვიცით, ატომური ძალიერების ამ უზარმაზარ წყაროს შეიძლია ან მოსპობამდე მიიყვანოს მსოფლიო, ან გახდეს საფუძველი ახალი მსოფლიოს შექმნისათვის, რომელშიც მშვიდობიანი მიზნებით ენერგიის გამოყენება მთელი კაცობრიობის ყოფილ დღეებს მოხმარდება.

დღეს ჩვენ ორიად მნიშვნელოვანი წაბიჯი გადავდგით იმ გზაზე, რომ შევზღუდოთ დამანგრეველი ძალები და გავათავისუფლოთ აღმშენებლობის ენერგია.

ჩვენ, როგორც პრაქტიკულ ადამიანებს, გვესმის, რომ თუმცა ორი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ წინ კიდევ გრძელი გზა გვიცია. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ შემდგომ ნაბიჯებს არა მარტო ამ უდიდესი დამანგრეველი ძალის შეზღუდვის დარგში, არამედ აგრეთვე, საბოლოო ანგარიშით, როგორც დარწმუნებული ვართ, შეიარაღების ტვირთის შემსუბუქების დარგში, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს მთელ მსოფლიოს და ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებს.

ამის მიღწევა არც თუ ისე იოლია. ამას მიგაღწევთ მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ. მაგრამ, განვაგრძობთ რა კონტაქტებს, განვაგრძობთ რა იმის მსგავს დისკუსიებს, რომლებიც გაიმართა ახლა აქ და ერთი წლის წინათ მოსკოვში, ჩვენ შეგვიძლია ერთად ვიაროთ წინ ამ მიმართულებით და ამით მაგალითი ეუჩვენოთ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს. ამიტომ დიდი კმაყოფილებით ვეთანხმები თქვენს თავაზიან მოწვევას, რომ მომავალ წელს ჩამოვიდე მოსკოვში ჩვენი შესაძლო შეხვედრისათვის.

ამ მესამე შეხვედრის დროს მე, რა თქმა უნდა, ვეცდები უკეთ გაგაცნო თქვენს ქვეყანას და მეტი შეხვედრები მიქნეს თქვენს ხალხთან. ამავე დროს, ვიცოდი გაგრძელებ ისეთივე საუბრები, როგორიც ამჟამად მიმდინარეობს, და რომ ამ საუბრებსაც მოპყვეს კონკრეტული შედეგები იმ მიზნის მიღწევაში, რომელსაც ჩვენ ვეძებთ ძალღონეს ამჟამად, — არა მარტო გავაუმჯობესოთ ჩვენი ორთა ქვეყნის ურთიერთობა, არა მარტო დავამყოთ მშვიდობა ჩვენს შორის, არამედ აგრეთვე უზრუნველყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ამასთან დავიცვათ ყველა, დიდი თუ პატარა ქვეყნის უფლებები.

სწორედ ამ მიზნის გასამართ ჩვენს ძალებს. და თუ ჩვენს ორ დიდ ქვეყანას შეუძლია ამისთვის მაგალითი ამ მიმართულებით და მიაღწიოს კონკრეტულ შედეგებს სხვადასხვა შეხვედრის მსვლელობაში, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით, შესაძლოა, ყოველწლიურად, ეს ნიშნავს, რომ დიდი ნაბიჯი გადადგამება ჩვენი საერთო მიზნის მიღწევის გზაზე.

მე არ მინდა შეეშინოს შთაბეჭდილება, რომ უმაღლესი დონის ერთ ან ორ შეხვედრას შეეძლოს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მშვიდობა, დაუყოვნებლივ გამოიწვიოს დაძაბულობის შენელება და შეიარაღების შემცირება ან შეზღუდვა. მაგრამ ვიცი ერთი რამ: უმაღლეს დონეზე ამ ორმა შეხვედრამ დაგვაახლოვა, უფრო გაასგები გახადა ჩვენი უთანხმოებანი, გაადვილება ჩვენი გადაწყვეტილება — მოვაგვაროთ ეს უთანხმოებანი ურთიერთკონსულტაციით. ეს კი ხომ ჭეშმარიტად ისტორიული ცვლილებაა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

დასასრულ პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა აღიარებელა სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, ყველა დამსწრე.

* * *

ლ. ი. ბრეჟნევისა და **რ. ნიქსონის** სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავი

„ისკრა“ და პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადება

„ისკრა“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არსებული წყობილების ბჭილებს, უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის, მუშათა კლასობრივი შეგნების განვითარების, მათი აღზრდის, მათში სოციალისტური შეგნების შეტანის საკითხებს. გაზეთის მთელ თეორიულ ორგანო, პრაქტიკულ მუშაობას წარმართავდა ვ. ი. ლენინი. რომელიც თავის სტატიებში, „ისკრის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა, შემოქმედებითად ავითარებდა თეორიის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ძირეულ საკითხებს. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობის წყალობით გახდა „ისკრა“ მებრძოლი ორგანო, რომელმაც მეტად ძნელ პირობებში კოლოსალური მუშაობა ჩაატარა ახალი ტიპის პარტიის იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადებისათვის.

რევოლუციური მოძრაობის ყველა საარსებო საკითხის გარკვევით ვ. ი. ლენინმა საფუძველი ჩაუყარა მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიზე, დაასაბუთა ძირითადი მარქსისტული დებულება, რომ პროლეტარიული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

ამ პერიოდში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა მებრძოლი მეცნიერული პროგრამის შემუშავებას. პროგრამა სოციალ-დემოკრატიის იდეური შემეცნების სერიოზული ფაქტორი იყო. პარტიული პროგრამის შემუშავებისას „ისკრის“ რედაქციაში სერიოზული უთანხმოებას ჰქონდა ადგილი.

დამატებით შენიშვნებში კომისიის პროგრამის პროექტის გამო ლენინი წერდა: „აუცილებლად საჭიროა ჯერ გავემიჯნოთ ყველას, გამოვყოთ მხოლოდ ერთი, ერთადერთი და მარტოდმარტო პროლეტარიატი, ხოლო უკვე ამის შემდეგ განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატი ყველას გაათავისუფლებს, ყველას უხმობს, — ყველაფერ ეუბნეს“.

მწვავე კამათის ობიექტი გახდა ადარარული პროგრამა, რომლის ავტორი იყო თვით ლენინი. იმ დროისათვის ლენინს საჭიროდ მიაჩნდა ვლუბებისათვის „ჩამონაჭრების“ უკან დაბრუნების მოთხოვნა. ხოლო ვლუბნის ბრძოლის ზრდისა და გაძლიერების შემთხვევაში მომამულების წინააღმდეგ, მუშათადგენა ლენინი, ჩვენ წამოვაყენებთ მთელი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას. ნაციონალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი.

საერთოდ, პარტიის პროგრამის შემუშავების დროს ძირითადი პროგრამული საკითხების განხილვამ „ისკრის“ რედაქციაში ცხადი გახადა ის, რომ რედაქციის მხოლოდ ერთი წევრი—ლენინი იცავდა თანმიმდევრულ რევოლუციურ ხაზს. მისი დანარჩენი წევრები მერყეობდნენ და ზოგჯერ წარმოუდგენელ უპრინციპობასაც იჩენდნენ.

ენერგიულად რომ ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღზრდასა და შეკავშირებას რუსეთის საერთო მებრძოლ ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიად, „ისკრა“ გახდა პარტიული ძალთა გაერთიანების ცენტრი. გაზეთის დამხმარე ჟურნალები და აგიტაციო ქსელი, რომელთაც ცოცხალი კავშირი ჰქონდათ დამყარებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან, შეუპოვრად და თავგანწირვით მუშაობდნენ პარტიის შექმნაზე.

„ისკრის“ იდეების პროპაგანდის, მისი გავრცელების, გავრცელებისა და ტრანსპორტირების ჩინებულად დაყენების შედეგად დღითიდღე იზრდებოდა გაზეთის გავლენა, მის გარშემო სულ ახალ ახალი ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იყრიდნენ თავს. ლენინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივი ორგანიზაციებთან, ჰქონდა მათთან მიმოწერა, კონკრეტულად ხელმძღვანელობდა მათ.

„ისკრის“ გავლენა თანდათანობით ძლიერდებოდა, შეგნებული პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი მის მხარეზე დგებოდა. ვ. ი. ლენინის მთავარ საზრუნავს შეადგენდა კომიტეტების ხელში ჩაგდება, მაგრამ რაც შეიძლება მეტი მებრძოლი და შემოწმებული მუშაკის შეკრება, რაც წარმატებით ხორციელდებოდა.

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამ „ისკრის“ პოზიციაზე. რსდმპ თბილისის, ბათუმის და სხვა კომიტეტები ენერგიულ საგაგიტაციო-პროპაგანდისტულ და საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. 1901 წლიდან ძლიერი ისკრული ჯგუფი არსებობდა ბაქოში, ბაქოს სტამბაში („ნინა“) იბეჭდებოდა გაზეთი „ისკრა“. 1901 წლის სექტემბრიდან გამოდიოდა პირველი არალეგალური მარქსისტული გაზეთი „ბრძოლა“ ქართულ ენაზე, ხოლო 1902 წლის ოქტომბრიდან გაზეთი „პროლეტარიატი“ სომხურ ენაზე. 1903 წლის მარტში შეკრებილმა ამავე სიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ შექმნა ამავესის ამბავი რის კომიტეტი. ამ ყრილობის დადგენილებით გაზეთები „ბრძოლა“ და „პროლეტარიატი“ გაერთიანდნენ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით. ყრილობაზე არჩეულ იქნენ რსდმპ II ყრილობის დელეგატები. ყრილობამ მიიღო „ისკრის“ პროგრამა.

რსდმპ II ყრილობის წინ რუსეთში მოქმედი ყველა კომიტეტი (გარდა ვორონეჟისა) „ისკრას“ შეუერთდა, მის პოზიციაზე დადგა, მკვეთრად გაემიჯნა „ეკონომიზმს“. შესაძლებელი გახდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება მებრძოლ და ავტორიტეტულ მარქსისტულ პარტიად.

1903 წლის იულის-ავგუსტში შეკრებილმა პარტიის II ყრილობამ გაიფორმა პარტიის შექმნა. გაზეთმა „ისკრამ“ უზრუნველყო რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულების გამარჯვება რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ამიტომ არის, რომ სსკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ“ ნათქვამია: „ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ამ ყრილობაზე დამთავრდა რევოლუციურ-მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების პროცესი და შეიქმნა რუსეთის მუშათა კლასის პარტია იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა“.

ე. ახობაძე,
პროფესორი, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორი.

> **„რა შეადგენდა ყრილობის მთავარ ამოცანას? ნამდვილი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძველზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ“... ისკრული პრობლემა და მიმართულება უნდა გამხდარიყო პარტიის პროგრამად და მიმართულებად, ისკრული ორგანიზაციული გეგმები განხორციელებულ უნდა ყოფილიყო პარტიის საორგანიზაციო ფიზიდებაში... ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა ყრილობა არ გადაქცეულიყო ისკრული მიმართულების გამარჯვებისათვის ბრძოლის ასპარეზად.**
>
> **ვ. ი. ლენინი.**

სათავეში ლენინი იდგა

„ისკრა“ და პარტიის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადება

ანი მნიშვნელობა ენიჭებოდა მებრძოლი მეცნიერული პროგრამის შემუშავებას. პროგრამა სოციალ-დემოკრატიის იდეური შემეცნების სერიოზული ფაქტორი იყო. პარტიული პროგრამის შემუშავებისას „ისკრის“ რედაქციაში სერიოზული უთანხმოებას ჰქონდა ადგილი.

დამატებით შენიშვნებში კომისიის პროგრამის პროექტის გამო ლენინი წერდა: „აუცილებლად საჭიროა ჯერ გავემიჯნოთ ყველას, გამოვყოთ მხოლოდ ერთი, ერთადერთი და მარტოდმარტო პროლეტარიატი, ხოლო უკვე ამის შემდეგ განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატი ყველას გაათავისუფლებს, ყველას უხმობს, — ყველაფერ ეუბნეს“.

მწვავე კამათის ობიექტი გახდა ადარარული პროგრამა, რომლის ავტორი იყო თვით ლენინი. იმ დროისათვის ლენინს საჭიროდ მიაჩნდა ვლუბებისათვის „ჩამონაჭრების“ უკან დაბრუნების მოთხოვნა. ხოლო ვლუბნის ბრძოლის ზრდისა და გაძლიერების შემთხვევაში მომამულების წინააღმდეგ, მუშათადგენა ლენინი, ჩვენ წამოვაყენებთ მთელი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას. ნაციონალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი.

საერთოდ, პარტიის პროგრამის შემუშავების დროს ძირითადი პროგრამული საკითხების განხილვამ „ისკრის“ რედაქციაში ცხადი გახადა ის, რომ რედაქციის მხოლოდ ერთი წევრი—ლენინი იცავდა თანმიმდევრულ რევოლუციურ ხაზს. მისი დანარჩენი წევრები მერყეობდნენ და ზოგჯერ წარმოუდგენელ უპრინციპობასაც იჩენდნენ.

ვ. ი. ლენინის შეუპოვარი ბრძოლისა და მისი პრინციპული პოზიციის შედეგად შესაძლებელი გახდა პროგრამის მარქსისტული პროექტის მომზადება, რომელიც „ისკრაში“ გამოქვეყნდა 1902 წლის ივნისში და შემდეგ მეორე ჯერ.

„ისკრამ“ მაშინ დაიწყო გამოსვლა, როცა რუსეთში სწრაფად იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა და ჩნდებოდა ამ მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელის მოთხოვნა. „ისკრის“ გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა დაეხმარებოდა მუშათა კლასს, შეერგნო თავისი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო ისტორიული მისია. ამ დროისათვის მუშათა მოძრაობა ახალ ეტაპზე ადის, მუშები პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე გადადიან. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ საპირველმაისო დემონსტრაციები. გაფიცულები და დემონსტრანტები მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსი მარქსისტების მებრძოლი ორგანო უომობლად ამხილებდა ოპორტუნისტებს როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში. „ისკრა“ რუსეთის მუშათა მოძრაობას თავლიერ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ რაზმად, დიდ ყურადღებას უთმობდა ბრძოლას II ინტერნაციონალის პარტიებში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ენერგიულად რომ ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღზრდასა და შეკავშირებას რუსეთის საერთო მებრძოლ ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიად, „ისკრა“ გახდა პარტიული ძალთა გაერთიანების ცენტრი. გაზეთის დამხმარე ჟურნალები და აგიტაციო ქსელი, რომელთაც ცოცხალი კავშირი ჰქონდათ დამყარებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან, შეუპოვრად და თავგანწირვით მუშაობდნენ პარტიის შექმნაზე.

„ისკრის“ იდეების პროპაგანდის, მისი გავრცელებისა და ტრანსპორტირების ჩინებულად დაყენების შედეგად დღითიდღე იზრდებოდა გაზეთის გავლენა, მის გარშემო სულ ახალ ახალი ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იყრიდნენ თავს. ლენინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ჰქონდა მათთან მიმოწერა, კონკრეტულად ხელმძღვანელობდა მათ.

„ისკრის“ გავლენა თანდათანობით ძლიერდებოდა, შეგნებული პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი მის მხარეზე დგებოდა. ვ. ი. ლენინის მთავარ საზრუნავს შეადგენდა კომიტეტების ხელში ჩაგდება, მაგრამ რაც შეიძლება მეტი მებრძოლი და შემოწმებული მუშაკის შეკრება, რაც წარმატებით ხორციელდებოდა.

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამ „ისკრის“ პოზიციაზე. რსდმპ თბილისის, ბათუმის და სხვა კომიტეტები ენერგიულ საგაგიტაციო-პროპაგანდისტულ და საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. 1901 წლიდან ძლიერი ისკრული ჯგუფი არსებობდა ბაქოში, ბაქოს სტამბაში („ნინა“) იბეჭდებოდა გაზეთი „ისკრა“. 1901 წლის სექტემბრიდან გამოდიოდა პირველი არალეგალური მარქსისტული გაზეთი „ბრძოლა“ ქართულ ენაზე, ხოლო 1902 წლის ოქტომბრიდან გაზეთი „პროლეტარიატი“ სომხურ ენაზე. 1903 წლის მარტში შეკრებილმა ამავე სიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ შექმნა ამავესის ამბავი რის კომიტეტი. ამ ყრილობის დადგენილებით გაზეთები „ბრძოლა“ და „პროლეტარიატი“ გაერთიანდნენ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით. ყრილობაზე არჩეულ იქნენ რსდმპ II ყრილობის დელეგატები. ყრილობამ მიიღო „ისკრის“ პროგრამა.

რსდმპ II ყრილობის წინ რუსეთში მოქმედი ყველა კომიტეტი (გარდა ვორონეჟისა) „ისკრას“ შეუერთდა, მის პოზიციაზე დადგა, მკვეთრად გაემიჯნა „ეკონომიზმს“. შესაძლებელი გახდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება მებრძოლ და ავტორიტეტულ მარქსისტულ პარტიად.

1903 წლის იულის-ავგუსტში შეკრებილმა პარტიის II ყრილობამ გაიფორმა პარტიის შექმნა. გაზეთმა „ისკრამ“ უზრუნველყო რევოლუციურ-მარქსისტული მიმართულების გამარჯვება რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ამიტომ არის, რომ სსკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავის შესახებ“ ნათქვამია: „ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ამ ყრილობაზე დამთავრდა რევოლუციურ-მარქსისტულ ორგანიზაციათა გაერთიანების პროცესი და შეიქმნა რუსეთის მუშათა კლასის პარტია იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა“.

ე. ახობაძე,
პროფესორი, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორი.

30 ივნისსა და 1 ივლისს

უამინდობის — დიდი ზვიმების გამო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კარტოფილის ნათესების რესპუბლიკური დათვალიერება გადატანილია და მოეწყობა 30 ივნისსა და 1 ივლისს.

უხვი, იაფი

რესპუბლიკის რაიონებს შორის წალკის რაიონში ყველაზე მეტი კარტოფილი უთესიათ. წელს ოგროვდებში დაითესა 3.160 ჰექტარი— გვითხრა პარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. დელალერმა.**

წელს წალკელებმა გადაწყვიტეს ნათესები ისე დაამუშაონ, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ სულ მცირე 125 ცენტნერი კარტოფილი ნაცვლად 120 ცენტნერისა, სახელმწიფოს მიჰყიდონ 24000 ტონა კარტოფილი ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 23.500 ტონისა.

პირობის შესასრულებლად რაიონში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნაკვეთების დამუშავებას, კარტოფილი ძირითადად მზრალად მოხნულზე დაითესა. საუბრობენ ყველგან საკმაო რაოდენობით არის შეტანილი.

რაიონში 3.160 ჰექტარი ნათესის პირველი კულტივაცია უკვე დამთავრებულია. ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მეორე კულტივაცია. ეს სამუშაო შესრულებულია 1.580 ჰექტარზე, რაც გეგმის 50 პროცენტს შეადგენს, მარშან ამ დროისათვის მეორე კულტივაცია შესრულებული იყო მხოლოდ 30-მდე პროცენტით.

როგორც ყოველ წელს, ისე ახლაც სოციალისტურ შეჯიბრებაში

კარტოფილის ნათესების რესპუბლიკური დათვალიერების წინ

□

სუფევს ყველგან საკმაო რაოდენობით არის შეტანილი.

პირველობას არავის უთმობს ავრარულის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ლ. საბაძე). მეურნეობას კარტოფილი 290 ჰექტარზე უთესია. სასუქის დროულად შეტანამ და კულტივაციამ ხელი შეუწყო ნათესის სწრაფ ზრდას. ამ მეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე დაიწყო მეორე კულტივაცია და კიდევაც დაამთავრა ეს სამუშაო. კარგად გაფხვიერებული ნიადაგი და წესიერად მოვლილი ნათესი იმედს იძლევა, რომ საშუალოდ ჰექტარზე სულ მცირე 180 ცენტნერ კარტოფილს მიიღებენ.

კარტოფილის ნათესები საგულდაგულოდ მოვლილი აქვთ ჭინიშს, ბეშთაშენს, ედიკილისსა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

